თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ეკონომიკის და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N 7

ქ. თელავი 2019 წლის 16 აპრილი

თავმჯდომარეობდა: კომისიის თავმჯდომარე: ალექსანდრე შათირიშვილი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ვასილ არაბული, გიორგი ჩაბრაშვილი, უჩა ჭოტიაშვილი, ლევანი ლილუაშვილი, ლელა მენთეშაშვილი.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის თელავის ბიუროს კოორდინატორი ლევან როსტომაშვილი, საქართველოს საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარე ნინო პაატაშვილი, თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი გიორგი თავზერიძე, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიაში მოწვეული სპეციალისტი ზურაბ ენუქიძე.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ,,სოფელ ქვემო ხოდაშნის ქალთა საინიციატივო ჯგუფისათვის'' პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე პროექტის განხილვა.

მომხს. ა. შათირიშვილი

2. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა (ა) იპ ,,საქართველოს საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის ასოციაციისათვის'' პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე პროექტის განხილვა.

მომხს. ა. შათირიშვილი

3. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ პროექტის განხილვა.

მომხს. ა. შათირიშვილი

4. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა (ა) იპ ,,საქართველოს ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა ცენტრალური კავშირისათვის'' პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე პროექტის განხილვა.

მომხს. ა. შათირიშვილი

მოისმინეს: 1. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ,,სოფელ ქვემო ხოდაშნის ქალთა საინიციატივო ჯგუფისათვის'' პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: ლ.როსტომაშვილმა აღნიშნა, რომ სოფელ ქვემო ხოდაშნის ქალთა საინიციატივო ჯგუფმა მოიპოვა საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის გრანტი, აქვს გაწერილი მოქმედების გეგმა, რითაც ახორციელებენ მნიშვნელოვან პროექტს სოფელში, როგორიცაა უფასოდ კომპიუტერის შესწავლა და მოსახლეობისთვის - უპირატესად ქალებისთვის, სხვადასხვა ჯგუფური სასწავლო წრეების შექმნას. აღნიშნულისთვის არ გააჩნიათ სათანადო ადგილი, ითხოვენ სოფლის ადმინისტრაციულ შენობაში

ფართს, რომელსაც სჭირდება სარემონტო სამუშაოები, რასაც გააკეთებენ საკუთარი ძალებით.

ლ.ლილუაშვილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ამგვარი პროექტები აქტუალურია და მათი განხორციელება ხელს შეუწყობს სოფლად არსებული პრობლემების მოგვარებას და დააყენა წინადადება საკითხის საკრებულოს ბიუროზე განხილვის შესახებ.

აღნიშნულ მოსაზრებას დაეთანხმნენ კომისიის დანარჩენი წევრები.

გადაწყვიტეს: პროექტი თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ,,სოფელ ქვემო ხოდაშნის ქალთა საინიციატივო ჯგუფისათვის'' პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე განხილული იქნას საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

მოისმინეს: 2. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა (ა) იპ ,,საქართველოს საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის ასოციაციისათვის'' პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე პროექტის განხილვა.

აზრი გამოთქვეს: ნინო პაატაშვილმა აღნიშნა, რომ წლების მანძილზე მათი ასოციაცია ასრულებს „ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობის ქვეპროგრამა"-ს, რომლის მხარდამჭერი არის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, ასევე ახორციელებენ სხვა ხანგრძლივ პროექტებსაც.

ა.შათირიშვილმა დააყენა წინადადება, რომ პროექტი განხილული იქნას საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

გადაწყვიტეს: პროექტი თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა (ა) იპ ,,საქართველოს საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის ასოციაციისათვის'' პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე განხილული იქნას საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

მოისმინეს: 3. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ პროექტის განხილვა.

აზრი გამოთქვეს: გ. თავბერიძემ აღნიშნა, რომ ე.წ. ლეგიონის ბინებიდან მორჩენილია რამდენიმე ბინა, რომელნიც უნდა გადაეცეს სახელმწიფოს საკუთრებაში, შემდგომში იქ მცხოვრებ მოსახლეობისთვის სიმბოლურ ფასად გადაცემის მიზნით.

ა.შათირიშვილმა გამოთქვა მოსაზრება საკითხის საკრებულოს ბიუროზე განხილვის შესახებ.

აღნიშნულ მოსაზრებას დაეთანხმნენ კომისიის დანარჩენი წევრები.

გადაწყვიტეს: პროექტი თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ განხილული იქნას საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

მოისმინეს: 4. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა (ა) იპ ,,საქართველოს ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა ცენტრალური კავშირისათვის'' პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე პროექტის განხილვა.

აზრი გამოთქვეს: გ.თავბერიძემ აღნიშნა, რომ აღნიშნული საკითხი მოხსნილი უნდა იქნას დღის წესრიგიდან, ვინაიდან ჯერ კიდევ საჭიროებს დამატებით შესწავლას.

გადაწყვიტეს: პროექტი თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ დამატებით შესწავლილი იქნას მერიის შესაბამისი სამსახურის მიერ.

კომისიის თავმჯდომარე ა. ალექსანდრე შათირიშვილი